ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 35

2 ოქტომბერი 2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობებისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებთან ერთად.

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი- ნინო კვეტენაძე

მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი- ივანე მესხი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა.

2. კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე,დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე,ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გაერთიანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ სამ საკითხს განიხილავს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიასთან ერთად, მეოთხე საკითხს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიასთან ერთად, ხოლო დანარჩენი საკითხების განხილვას გააგრძელებს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

დღის წესრიგი: 1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში,2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.(#12-0318271170-03)

2.ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ" ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების თაობაზე.

3.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებათა განხორციელების შესახებ(#12-0318271171-03)

4.ქ.თბილისის საკუთრებაში არსებული , კოსტავას ქ.#37ა-ში ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკ/კოდი:#01.15.03.010.089) ა(ა)იპ „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის" (ს/კ203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის #36,19,696 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" (#12-0318271148-03)

5. ქ.თბილისში,რუსთაველის გამზ.№13-ის მიმდებარედ არსებული 6 კვმ (ს/კ 01.15.04.017.027); 5კვმ (ს/კ:01.15.04.017.028) და 20 კვმ (ს/კ:01.15.04.017.029) მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის" (ს/ნ 203842333) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" (#12-031826992-03)

6. ქალაქ თბილისში,აბანოს ქ.№8-ში მდებარე 44 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18.04.019.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გე-ტე-გე-სთვის (ს/ნ 405150189) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე"(#12-031826992-03)

7. ქ.თბილისში, წავკისის ქ.#13-ში მდებარე 763 კვმ მიწის ნაკვეთის(ს/კ 01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე".(#12-031826992-03)

8. ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირი #28-ის მიმდებარედ 30კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:#01.15.05.010.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაქრო ქონსთრაქშენის-თვის" (ს/ნ 445433120) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.(#12-0318271148-03)

9. სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/კ 204854595) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.(#12-0318271148-03)

10. ქ.თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ.#67-ში მდებარე 18 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის" სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.(#12-0318271148-03)

11. ქ.თბილისში,ვაზისუბნის IV მ/რ-ის მე-2 კვარტლის კორპუსი #7-ის მიმდებარედ არსებული 2244 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.17.07.024.078) სსიპ -საქართველოს სამოციქული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.(#12-0318271148-03)

12. ქ.თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის #E-218-12-7711 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის ოდენობის შეცვლისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან ფიზიკური პირის ნიკა ლობჟანიძის (პ/ნ 60001122517) გთავისუფლების თაობაზე.(#12-031827414-03)

13. შპს „მკ დეველომენტს"-ა (ს/ნ 205049712) და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შორის 2017 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის #ე-384-16-21783 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე"(#12-031827414-03)

14. მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის წერილი №11-01182742030 ქ. თბილისის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში პროგრამის (10 07) სახელის შეცვლის შეთანხმების თაობაზე.

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში,2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

ნინო კვეტენაძის განმარტებით ცვლილებებით წესის მოქმედება შეეხება ფიზიკურ პირებს, რომელთაც ჰქონდათ უწყებათაშორისი კომისიის მიერ განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში საცხოვრებელი სახლები, თუმცა რამდენიმე პირის მიერ შექმნილი იყო ამხანაგობა და საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად ქონება რეგისტრირებულია ამხანაგობის საკუთრებად, ასევე ამ ცვლილებით დახმარებას მიიღებენ პირები, რომლებიც სტიქიის დროს კანონიერი საფუძვლის გარეშე ცხოვრობდნენ უწყებათაშორისი კომისიის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე და დაეწგრათ მათ მფლობელობაში არსებული სახლები,ამას გარდა დახმარება მიეცემათ იმ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები სტიქიის შედეგად დაზიანდა, თუმცა არ დანგრეულა და რაიონული გამგეობები საცხოვრისების რეაბილიტაციას ვერ ახერხებენ. ასეთ პირებს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის გადაეცემათ ერთჯერადად ფულადი დახმარება.

რიმა ბერაძის შეკითხვაზე ნინო კვეტენაძემ დააკონკრეტა რომ ფულადი დახმარება განსაზღვრულია ოჯახის შემადგენელი წევრების მიხედვით და იწყება 20 000 დან 60000 ლარამდე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ" ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

ინტერესეთა გამოხატვის საგანს წარმოადგენს ნუცუბიძის ფერდობი, მე-3 მიკრორაიონის მე-3 კვარტალი, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ 12223 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.14.02.013.183), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პრდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად პრივატიზება და პირობადადებულ საკუთრებაში გადაცემა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისათვის. სამშენებლო გარანტია შეადგენს 150 000 ლარს, გამარჯვებული პირი ვალდებულია იმპლემენტაციის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და პირობებით მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, მთავრობის სასარგებლოდ წარადგინოს მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემ საცხოვრებელ ფართზე 1 კვმ 500აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია. მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი საცხოვრებელი ფართი შეადგენს არანაკლებ 7000 კვმ-ს.

საკითხის განხილვა გაიმართა კითხვა -პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები ქონდათ: ლევან დარახველიძეს, ირაკლი ზარქუას, ვატანგ შაქარიშვილს.

მათ შეკითხვებზე განმარტეს ნინო კვეტენაძემ და ივანე მესხმა.

ნინო კვეტენაძის თქმით, ადრე წარმოდგენილ ინტერესთა გამოხატვის წესთან განსხვავებით სიახლეა ის, რომ წარმოდგენილი წესის შესაბამისად გამარჯვებულ პირს მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი ფართების გარდა, უფლება აქვს გაყიდოს ან იპოთეკით დატვირთოს მისი ქონება.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით 2007 წლის ნოემბერში, პირდაპირი მიყიდვის ფორმით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს" საკუთრებაში გადეცა ქ. თბილისში,

ჩუბინაშვილის ქ. №38-ში არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების საერთო სარგებლობის ფართი 617 კვ.მ და მათზე დამაგრებული 946 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.16.01.14.020), კონსტიტუციის ქ. №6/ჩუბინაშვილის ქ. №52-ში მდებარე შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 15 913 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.16.01.009.001), ქ. თბილისი, დასახლება ლილო (აეროპორტი) №107 სკოლის მიმდებარედ საფეხბურთო მოედანი და მასზე დამაგრებული 7 345 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 1 052,17 კვ.მ (ს/კ №01.19.27.008.008) და ავჭალის დასახლება 6 724 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.11.03.013.032). 2008 წლის თებერვალში შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფსა"და თბილისის მთავრობას შორის გაფორმდა „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულება". ხელშეკრულებით განისაზღვრა უძრავი ქონების ფასი - 2 100 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში და საინვესტიციო ვალდებულებები და დამატებითი პირობები. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის ნოემბრის განკარგულებაში შევიდა ცვლილება, 2009 წლის 31 მარტის №243 და 2010 წლის 27 იანვრის №56 პრეზიდენტის განკარგულებებით და შეიცვალა საპრივატიზებო/საინვესტიციო პირობები. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 01 მაისის და 2015 წლის 16 აპრილის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკმაყოფილდა შპს „ცენტრ პოინტის" სასარჩელო მოთხოვნა და ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მთავრობის დადგენილებები ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან მესამე პირების მიმართ მყიდველის ვალდებულებების შესრულების მიზნით, უძრავი ქონება უკან დაუბრუნდეს გამყიდველს, რის შემდეგაც გამყიდველი უძრავ ქონებას საკუთრებაში გადასცემს სახელმწიფოს, რათა სახელმწიფომ, თავის მხრივ, განკარგოს უძრავი ქონება იმ პირთა ინტერესების გათვალისწინებით, რომელთაც აღნიშნულ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უდასტურდებათ მყიდველის მიმართ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

საკითხის განხილვა გააიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკიტხვებზე დეტალურად განმარტა ნინო კვეტენაძემ. შეკითხვების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისის საკუთრებაში არსებული , კოსტავას ქ.#37ა-ში ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკ/კოდი:#01.15.03.010.089) ა(ა)იპ „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის" (ს/კ203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე"ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის #36,19,696 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას" პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ქონდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა N 37ა-ში, ვერის პარკში მდებარე შენობა N1-ში სარდაფი ფართით 89,75 კვ.მ, I სართულზე არსებული 1471,5 კვ.მ-დან 479,85 კვ.მ ფართი, II სართულზე 1322,32 კვ.მ, III სართულზე 1787,07 კვ.მ ფართი, IV სართულზე 307,8 კვ.მ ფართი, IV სართულზე ღია ტერასაზე 1047,14 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089) 2 წლის ვადით. 2018 წლის 21 აგვისტოს ფედერაციის პრეზიდენტმა მიმართა მერიას და ითხოვა უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.15.03.010.089) სარგებლობის ვადის გაზრდა 10 წლამდე. ამავე დროს გამოთქვამენ მზადყოფნას ერთი წლის განმავლობაში განახორციელონ სარემონტო სამუშაოები, რაზედაც დაიხარჯება 515000 ლარი. თბილისის მთავრობას მიზანშეწომილად მიიჩნია უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის ვადის გაზრდა 2027 წლის 23 ოქტომბრამდე. საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობისათვის.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხია დედაქალაქისათვის, დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში,რუსთაველის გამზ.№13-ის მიმდებარედ არსებული 6 კვმ (ს/კ 01.15.04.017.027); 5კვმ (ს/კ:01.15.04.017.028) და 20 კვმ (ს/კ:01.15.04.017.029) მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის" (ს/ნ 203842333) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე".
მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

კომპანიას სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაეცემა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ/კოდ:01.15.04.017.010) მიმდებარედ არსებული 6კვმ, 5 კვმ და 20 კვმ მიწის ნაკვეთები ღია კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირაა 5600 ლარი, იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა 5 წელი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში,აბანოს ქ.№8-ში მდებარე 44 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18.04.019.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გე-ტე-გე-სთვის (ს/ნ 405150189) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე".

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

შპს „გე-ტე-გე"ს სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაეცემა აბანოს ქ.#8-ში დებარე 44 კვმ მიწისნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად.კომპანია იჯარით ფლობს გრიშაშვილის ქ.№3/აბანოს ქ.№8-ში მდებარე უძრავ ქონებას(საკ/კოდი:01.18.04.019.005) 2021 წლის 4 აპრილამდე. წლიური საიჯარო ქირაა 10600 ლარი. იჯარის მოქმედების ვადა 2021 წლის 5 აპრილამდე პერიოდი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, წავკისის ქ.#13-ში მდებარე 763 კვმ მიწის ნაკვეთის(ს/კ 01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

ფიზიკურმა პირმა, ლაშა სიგუამ მომართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული 384 კვმ მიწის ნაკვეთის, რომელიც მდებარეობს ქავთარაძის ქუჩისა და ვაჟა ფშაველას შემაერთებელ გზაზე, II საავადმყოფო-პოლიკლინიკის მოპირდაპირედ, გაცვლა წავკისის ქ.№13-ში მდებარე 763 კვმ მიწის ნაკვეთში. გამომდინარე იქედან, რომ მოქალაქის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, მათი პოზიციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ლაშა სიგუას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით 364 კვმ მიწის ნაკვეთი შეფასდა 359639 ლარად, ხოლო სანაცვლოდ გადასაცემი მიწის ნაკვეთის ღირებულება, რომელიც მდებარეობს წავკისის ქ.№13-ში მდებარე 763 კვმ მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.15.05.087.019) შეფასდა 673051 ლარად. მოქალაქე არ დაეთანხმა ამ შეფასებას და წარმოადგინა შპს „იუაი საქართველოს" შეფასებები, რომლის ანგარიშითაც 364 კვმ მიწის ნაკვეთის ღირებულება შეადგენს 1050000 ლარს, ხოლო 763 კვმ მიწის ნაკვეთის ღირებულება შეადგენს 1 000 000 ლარს. ამის მიუხედავად მოქალაქე გამოთქვამს მზადყოფნას გადაიხადოს 50 000 ლარი.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს ქონდათ შეკითხვები. მათი აზრით საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას. გამომდინარე აქედან კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის გადადება კომისიის მომდევნო სხდომისათვის.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, " ქ.თბილისში, წავკისის ქ.#13-ში მდებარე 763 კვმ მიწის ნაკვეთის(ს/კ 01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე", გადაიდო მომდევნო სხდომისათვის.

მოისმინეს:ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირი #28-ის მიმდებარედ 30კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:#01.15.05.010.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაქრო ქონსთრაქშენის-თვის" (ს/ნ 445433120) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.
მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

შპს „მაქრო ქონსთრაქშენს" (ს/ნ: 445433120) სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაეცემა თბილისში, რუსთაველის გამზირი №28-ის მიმდებარედ 30 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: № 01.15.05.010.032) ღია კაფის მოსაწყობად. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №28/ქ.თბილისში, ალ.ჭავჭავაძის ქუჩა №2-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.011.01.533).
წლიური საიჯარო ქირაა 5400 ლარი.იჯარის მოქმედების ვადა 5 წელი.
მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/კ 204854595) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.
მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის კონკურსში სს „თიბისი ბანკის" (ს/კ: 204854595) გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 20 ივნისის N18.426.713 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა სს „თიბისი ბანკი" (ს/კ: 204854595) . რაიონის გამგეობებსა და საკრებულოში (სულ 12 ლოკაცია) ბანკომატების განთავსებისათვის წიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 19452 ლარი.იჯარის მოქმედების ვადა 2019 წლის 20 ივნისამდე პერიოდი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ.#67-ში მდებარე 18 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის" სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.
მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

სს თიბისი" ბანკს ქეთევან წამებულის გამზირი №67-ში მდებარე 18 კვმ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა პანდუსის ფუნქციონირების მიზნით. აღნიშნულ მისამართზე კომპანია იჯარით ფლობს ფართებს 2023 წლის 4 დეკემბრამდე ვადით. წლიური საიჯარო ქირაა 2200 ლარი. იჯარის მოქმედების ვადა 2023 წლის 4 დეკემბრამდე პერიოდი.
მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში,ვაზისუბნის IV მ/რ-ის მე-2 კვარტლის კორპუსი #7-ის მიმდებარედ არსებული 2244 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.17.07.024.078) სსიპ -საქართველოს სამოციქული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.
მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს წერილით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ, კვარტალი 2, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 4399 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.17.07.024.033) 2244 კვ.მ მიწის ნაკვეთის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით. ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია ვაზისუბნის IV მიკრო/რაიონი, კვარტალი 2, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 2244 კვ.მ მიწის ნაკვეთის განკარგვა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით, შემოღობვის უფლების გარეშე, სპორტული მოედნების და სარეკრეაციო სივრცის შენარჩუნების პირობით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელდა N01.17.07.024.033 საკადასტრო ერთეულის გამიჯვნა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადასაცემი 2244 კვ.მ მიწის ნაკვეთი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა N01.17.07.024.078 საკადასტრო კოდით. საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური ერთი ლარი.

საკითხთან დაკავშირებით რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ეკლესიის აშენებას ითხოვს ადგილობრივი მოსახლეობა და კარგი იქნება მათი ინტერესების გათვალისწინება.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის #E-218-12-7711 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის ოდენობის შეცვლისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან ფიზიკური პირის ნიკა ლობჟანიძის (პ/ნ 60001122517) გთავისუფლების თაობაზე.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის NE-218-12-7711 გადაწყვეტილების თანახმად, 218-ე აუქციონის მე-12 ლოტზე გამარჯვებულად გამოცხადდა ფიზიკური პირი - ნიკა ლობჟანიძე , რომელსაც სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 10 წლის ვადით გადაეცა ქ.თბილისში, ლესელიძის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 26 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკ/კოდი: 01.18.03.026.016).

სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვრა 6000 ლარის ოდენობით, რომლის გადახდა მოიჯარის მიერ უნდა განხორციელებულიყო 6 თვეში ერთხელ. სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრა საიჯარო ქირის 0,1%-ი, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოიჯარემ 2016 წლის 10 ნოემბერს განცხადებით აცნობა სააგენტოს , რომ არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა იჯარით გადაცემულ 26 კვ.მ მიწის ნაკვეთზე დროებითი ნაგებობის განთავსებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება მან გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და მოითხოვა არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მერიასთან დავის დასრულებამდე, საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნიკა ლობჟანიძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.02.2015 წლის N1732688 გადაწყვეტილება და არქიტეტქურის სამსახურს დაევალა ახალი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 15 ნოემბრის N61.011731913 ბრძანებით შეწყდა ქ.თბილისში, ლესელიძის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებულ 26 კვ.მ მიწის

ნაკვეთზე საკადასტრო კოდი: 01.18.03.026.016) იჯარის უფლება. შეწყვეტის მდგომარეობით - საიჯარო ქირის დავალიანებამ შეადგინა 21854.80 ლარი, ხოლო პირგასამტეხლოს დავალიანება შეწყვეტის მდგომარეობით განისაზღვრა 7008 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება საიჯარო ქირის დავალიანების სრულად დაფარვამდე.

სააგენტომ, შემდგომი რეაგირებისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ არსებული საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს დავალიანების შესახებ საქმის მასალები გადაუგზავნა მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურს, რომელმაც ნიკა ლობჟანიძის წინააღმდეგ სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში .

ნიკა ლობჟანიძის აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს 2015 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 თებერვლის N1732688 გადაწყვეტილება და სამსახურს დაევალა ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, აღნიშნული ქმედება არ განხორციელდა. შესაბამისად, თბილისის არქიტექტურის სამსახურმა არ მისცა მოიჯარეს იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის გამოყენების საშუალება, რაც მას აძლევს უფლებას ამ სასამართლო დავის პერიოდზე მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა: საკრებულოს გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინოს წინადადება, თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის NE-218-12-7711 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის წლიური საფასურის - 6000 (ექვსი ათასი) ლარის შეცვლისა და სიმბოლური ფასით 1 (ერთი) ლარით განსაზღვრის თაობაზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: შპს „მკ დეველომენტს“-ა (ს/ნ 205049712) და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შორის 2017 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის #ე-384-16-21783 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

შპს „მკ დეველოპმენტსა“ და სააგენტოს შორის 2017 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-384-16-21783 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „მკ დეველოპმენტს“ აუქციონის ფორმით, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ბაგები, იმედაძის I ჩიხი N7-ის მიმდებარედ 164 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.14.08.006.034). აუქციონის შედეგად ქონების სრული საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 30 900 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების თანახმად, აუქციონის პირობებად განისაზღვრა: 1. „ბ“ ქვეპუნქტი-

ხე-ნარგავების შენარჩუნების პირობით; და 2. „გ“ ქვეპუნქტი“- შეზღუდვა-დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე.

N01.14.08.006.034 საკადასტრო კოდის მომიჯნავე N01.14.08.006.035 და N01.14.08.006.033 საკადასტრო ერთეულებთან გაერთიანების შედეგად მოიხსნა შეზღუდვა-დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე. შპს „მკ დეველოპმენტმა“ 2018 წლის 5 აპრილის NQN1591303 განცხადებით მიმართა სააგენტოს, რომელშიც აღნიშნა, რომ N01.14.08.006.034 ნაკვეთზე არსებული ხეები არის ხმობადი და ზემოაღნიშნულ ნაკვეთზე ნარგავები განთავსდება, დენდროლოგიური სქემის მიხედვით, პროექტის დამტკიცების დროს. მერიის გარემოს დაცვის სამსახური თანახმაა გასცეს 3 (სამი) ძირი თეთრი აკაციის ხის მოჭრის ნებართვა მას შემდეგ, რაც შპს „მკ დეველოპმენტი“ წარმოადგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით: საკრებულოს წარედგინა წინადადება, შპს „მკ დეველოპმენტსა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2017 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-384-16-21783 ხელშეკრულების აუქციონის პირობების „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის „ხე-ნარგავების შენარჩუნების პირობით“ გაუქმებაზე, იმ პირობით, რომ შპს „მკ დეველოპმენტის“ მიერ ჯეროვნად შესრულდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ განსაზღვრული ყველა მოთხოვნა.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: საფინანსო-საქალაქო სამსახურის წერილი №11-01182742030 ქ. თბილისის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში პროგრამის (10 07) სახელის შეცვლის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი ზარქუას განმარტებით, საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგებილებაში შეტანილი ცვლილებებით, შეიცვალა „ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის“ სახელწოდება და ჩამოყალიბდა როგორც „თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია“. გამომდინარე აქედან ცვლილება შედის პროგრამული კოდის (10 07) დასახელებაში.

მომხრე-8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი „თბილისის მუნიციპლიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისმერიის საფინანსო-საქალაქო სამსახური ითხოვს პროგრამის (კოდი „10 07“ ზედამხედველობის საქალაქო სამსახური) სახელის შეცვლას,

„მუნიციპალური ინსპექციის“ სახელით, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების გადაწყვეტილებით:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა** პროგრამის (კოდი 10 07) სახელის შცვლას.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა